საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**გ-69. 6925034001**
თარიღი:**03/02/2025**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ36.03.37.501) შპს ,,ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალისთვის საქართველოში“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობის უფლებით, სასყიდლით 2025 წლის 30 ივნისამდე გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე - 5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.03.37.501) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობის უფლებით, სასყიდლით გადაცეს შპს ,,ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალს საქართველოში“ 2025 წლის 30 ივნისამდე.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი